

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია



ქ.ზუგდიდში ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ლაღიძის ქუჩიდან შესასვლელში ვლადიმერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მიმდებარედ განთავსებული საბაზო ატრაქციის რეაბილიტაციის

ტექნიკური დავალება

ქ. ზუგდიდი 2024წელი

ტექნიკური დავალება

ზოგადი ინფორმაცია

ტექნიკური დავალება ითვალისწინებს, მიმწოდებლის მიერ, ტექნიკური აღწერილობის ნაწილი 1-თა და ნაწილი 2-ით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას. ნაწილი 1 ეხება დეტალური პროექტის მომზადებას, ხოლო ნაწილი 2 - სამშენებლო სამუშაოების წარმოებას. საპროექტო ობიექტის ფარგლებში უნდა მომზადდეს რეაბილიტაციის დეტალური საინჟინრო პროექტი, სადაც თანამედროვე მეთოდებისა და ტექნიკური მოთხოვნების გათვალისწინებით მიღწეული უნდა იქნეს სამშენებლო ხარჯისა და საექსპლუატაციო მაჩვენებლების ოპტიმალური კომბინაცია, ადგილობრივი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით.

ნაწილი I.

1. საბავშვო ატრაქციონები

სარეაბილიტაციო ობიექტი მდებარეობს ქ. ზუგდიდში ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ლაღიძის ქუჩიდან შესასვლელიდან ვლადიკრის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მიმდებარედ და მოიცავს 2500კვმ-ს, მათ შორის განთავსებულია:

1. მინი რკინიგზა მატარებლითა და ვაგონებით 85მ²;
2. რაკეტა 45მ²;
3. აიწონა დაიწონა 9 ერთეული 75მ²;
4. დეკორატიული კარუსელი კარეტებითა და ცხენებით 64მ²;
5. კარუსელი საფრენი აპარატებითა და მანქანებით 100მ²;
- 6 გადახურული პავილიონი, მინი ავტომოედანი 225მ²;

მოედნის შიდა პერიმეტრზე დაგებულია გეოტექსილი კირქვის წვრილი ნაფხვენის შევსებით, პერიმეტრის საზღვრისპირა ნაწილი დაფარულია მწვანე მინდორით. გეოტექსილის საფარი კირქვის ნაფხვენებით შევსებული ბავშვებისათვის საფრთხის მომცველია და აილებელია, სათანადოდ მომზადებულ საფუძველზე დაიგოს, ფერადი, მონოლითური კაუჩუკის 20მმ-იანი საფარი სპეციალური მანქანით (ან დაწნეხილი კაუჩუკის ფილა). საჭიროა არსებული ძველი ატრაქციონების სრული დემონტაჟი და მათი ჩანაცვლება იგივე დასახელების მოდერნიზებული ახალი ატრაქციონებით. შესაცვლელია ატრაქციონების ელ. მომარაგების კაბელ სადენები უსაფრთხო დამიწებების გათვალისწინებით. დასამატებელია კლასიკური მოდელის სასრილო ატრაქციონი, საქანელა, ბატუტი, ტირი. მიმწოდებელი მუშა პროექტის მომზადების დაწყებამდე ვალდებულია მოამზადოს წინასაპროექტო ესკიზური ნახაზები (რენდერების ჩათვლით) და წარმოადგინოს განსახილველად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში.

დემონტირებული ატრაქციონების კონსტრუქციები, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უნდა დასაწყობდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მითითებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაში.

2. საპროექტო მომსახურების მოცულობა

2.1 განმარტებითი ბარათი - უნდა შეიცავდეს: ობიექტის არსებული მდგომარეობის (ფოტომასალის დართვა) და შესასრულებელ სამუშაოთა დეტალურ აღწერას და სხვა;

2.2 საპროექტო ორგანიზაციამ მუშა პროექტი უნდა შეადგინოს მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და სტანდარტების სრული დაცვით.

2.3 სიტუაციური გეგმა;

2.4 მუშა პროექტი უნდა შეიცავდეს გეგმებს, პროფილებს, ჭრილებს, კვანძებს, დეტალებს, 3D მოდელებს, სპეციფიკაციებს, „მოკ“-ის და სხვას;

2.5 სექმატური ნახაზები და კონსტრუქციული დეტალები (საჭიროების მიხედვით);

2.6 პროექტით გათვალისწინებული ყველა საჭირო უწყისის წარმოდგენა;

2.7 მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა საბაზრო და რესურსული ფასებით, მოქმედი ნორმატივების გათვალისწინებით;

2.8 მშენებლობის კალენდარული გრაფიკი.

2.9 ყველა ნახაზი წარმოდგენილი უნდა იქნას იოლად აღქმადი მასშტაბის მიხედვით;

2.17 ტექნიკური დავალებით გაუთვალისწინებელი გარემოების საპროექტო დოკუმენტაციაში შეტანა ან შემდგომში საჭირო ცვლილებების განხორციელება დამკვეთთან შეთანხმებით;

3. სხვა მოთხოვნები (საჭიროების შემთხვევაში):

3.1 ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება;

3.2 პროექტის კორექტირება;

3.3 პროექტის საავტორო ზედამხედველობა;

4. მიღება-ჩაბარების ვადა და პირობები:

4.1 შესასრულებელი საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდების ვადაა 50 კალენდარული დღე;

4.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე წარმოსადგენი დოკუმენტაცია და მასალები:

1. საპროექტო დოკუმენტაცია ნაბეჭდი PDF ფორმატში - 4 (ოთხი) ეგზემპლიარი;
2. საპროექტო დოკუმენტაციის კონსტრუქციული ნაწილის და ელ. ქსელის მონტაჟის ექსპერტიზის დადებითი დასკვნა (წამოდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) – 1 (ერთი) ეგზემპლიარი - დედანი;
3. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ნაბეჭდი Excel-ის ფორმატში - 4 (ოთხი) ეგზემპლიარი;
4. საპროექტო დოკუმენტაციის სახარჯთაღრიცხვო ნაწილის ექსპერტიზის დადებითი დასკვნა - (წამოდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) - 1 (ერთი) ეგზემპლიარი - დედანი;
5. საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ელექტრონული სახით CD დისკზე - 1 (ერთი) ეგზემპლიარი;

4.3 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი: ქალაქი ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა N90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

ნაწილი II.

სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებისათვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 150 კალენდარული დღით.

1. ატრაქციონის ძირითადი კონსტრუქცია (ჩონჩხი, ბოძები, კიბეები) უნდა შედგებოდეს გარემო პირობების მიმართ მედეგი, მეტალისაგან.

ატრაქციონების სამონტაჟო ანკერები მიწაში კოროზიისგან დაცვის მიზნით შეღებილი უნდა იყოს ორმაგი ანტიკოროზიული საღებავით;

ხრახნები, ქანჩები, ჭანჭიკები უნდა იყოს გალვანიზირებული, თავები დაფარული პლასტიკის ქუდებით;

სათამაშო ატრაქციონების საყრდენი სვეტების მონტაჟი უნდა განხორციელდეს მწარმოებელი კომპანიის მიერ გაცემული ინსტრუქციის შესაბამისად. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია მონტაჟის პროცესში მოსთხოვოს მიმწოდებელს აღნიშნული ინსტრუქცია; მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს თითოეული ატრაქციონის უსაფრთხოების შესაბამისი ტექნიკური სპეციფიკაცია;

ატრაქციონებზე თვალსაჩინო ადგილას დამონტაჟებული უნდა იქნას მომხმარებლის (ბავშვის) ასაკის შემზღვეველი მეტალის ფირნიში (ფირნიშის ზომა: არანაკლებ 20X15სმ).

საბავშვო ატრაქციონების განთავსების ტერიტორიაზე რეზინის მოედნის ფენა უნდა დამზადდეს სხვადასხვა ფერის არანაკლებ 1-3 მმ ზომის პიგმენტირებული რეზინის გრანულებისა და წებოსგან (PU BINDER), ფენის სისქე არანაკლებ 20 (ოცი) მმ;

დასამონტაჟებელ ატრაქციონებს უნდა გააჩნდეთ TS EN ან/და ISO სერტიფიკატები.

2. პროექტანტმა დამკვეთთან შეთანხმებით მოედანზე უნდა გაითვალისწინოს კრემისფერი ქვის გრანულებისგან ჩამოსხმული ქვის სკამი და ქვის ურნა (რაოდენობა შეთანხმებით);

ქვის უზურგო სკამი:

გამოყენებული მასალები - კრემისფერი ქვის გრანულების, სამშენებლო ინგრედიენტების, პლასტიფიკატორების, არმირების გამოყენებით დამზადებული; ზედაპირი: წყალმედეგი, ყინვამედეგი, გაპრიალებული, გალაქული ქვის ლაქით.

ქვის ურნა:

გამოყენებული მასალები - კრემისფერი ქვის გრანულების, სამშენებლო ინგრედიენტების, პლასტიფიკატორების, არმირების გამოყენებით დამზადებული; ზედაპირი: წყალმედეგი, ყინვამედეგი, გაპრიალებული, გალაქული ქვის ლაქით.

შენიშვნა: (ქვის სკამის და ურნის ესკიზები შეთანხმდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასთან) კუთხეები უნდა იყოს მომრგვალებული, სხმული უნდა შედგებოდეს ერთგვაროვანი მასისაგან, არ უნდა იყოს შებათქაშებული და მოპირკეთებული სხვა მასით.

3. კაუჩუკის საფარის მოწყობა:

საბავშვო ატრაქციონების განთავსების ტერიტორიაზე რეზინის მოედნის ზედა ფენის მოწყობა: რეზინის მოედნის ფენა უნდა დამზადდეს სხვადასხვა ფერის არანაკლებ 1-3 მმ ზომის პიგმენტირებული რეზინის გრანულებისა და წებოსგან (PU BINDER), ფენის სისქე არანაკლებ 20 (ოცი) მმ. მოედანზე ფერადი გრანულების გამოყენებით (ან დაწნეხილი კაუჩუკის 20მმ ფერადი ფილებით), უნდა მოხდეს ატრაქციონების სამონტაჟო ადგილების მოხატვა სხვადასხვა ფერებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით.

4. სამუშაოს შესრულების დროს გამოყენებული მასალები:

სამუშაოს შესრულების დროს ყველა გამოყენებული მასალა უნდა იყოს მაღალხარისხიანი და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ყველა სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებს. ყველა მასალა, მოწყობილობები, საკომპლექტო ნაწილები, სამარაგო საგნები, მოწოდებული ხელშეკრულების ფარგლებში, უნდა იყოს ახალი, უხმარი, სტანდარტული, მაღალი ხარისხის, საუკეთესო დონეზე დაპროექტებული და დამზადებული ეკოლოგიურად სუფთა მასალისაგან

სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების ტიპი და ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები (ხარისხი, ფაქტურა, ფერი და სხვა) თანხმდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი მასალა ან მოწყობილობა ან შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოთხოვნებს, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს, წარმოადგინოს სხვა, მუნიციპალიტეტისთვის მისაღები მასალა, მოწყობილობა ან/და სხვაგვარად შეასრულოს სამუშაოები.

5. სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა.

აუქციონში გამარჯვებული პირი პასუხისმგებელია:

შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით;

უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა; უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა; მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოებთან დაკავშირებული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა გარემოზე;

ყველა სახის სამუშაოების დაწყება შეთანხმებული უნდა იყოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტთან; სამუშაოების დასრულების შემდეგ აუქციონში გამარჯვებული პირი თავისი ძალებით და სახსრებით 3 (სამი) დღის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ.


შენიშვნა: შესასრულებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების საინვესტიციო ღირებულება განისაზღვროს არანაკლებ **400 000,0** (ოთხასი ათასი) ლარით.


სატენდერო დოკუმენტაციის იმ ნაწილში (ტექნიკური პირობები, ხარჯთაღრიცხვა, დანართი და სხვა) სადაც მოცემული იქნება შესასყიდი მასალებისა და მოწყობილობის სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი, იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“.

6. სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი




დასრულებული სამუშაოს მიღება ხორციელდება დასრულებულ სამუშაოზე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდგომ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სამშენებლო ინსპექტირების განყოფილების მიერ.

მოედანი უნდა დაიგოს სპეციალური მანქანით, სწორი ზედაპირის ფორმირებისთვის. (ან დაიგოს დაწნეხილი კაუჩუკის ფილები)










სანაპიროლიტანი(გოსპეული) პრეპროექტი



დანართი: სარეაბილიტაციო ობიექტის სიტუაციური გეგმ 1-ფურცლად;

ინსპექტირების ჯგუფი:

1.  / თემურ ჯიქია /
2.  / შუკრი მარგველანი /
3.  / ბორის ლადუა /
4.  / დავიდ ბერულავა /
5.  / მურმან ბოკუჩავა /